

საკლუბო მოდელი და მისი სტიმულირების გზები

დღევანდელი საუნივერსიტეტო გარემოს მოკლე მიმოხილვა.

ქვეყანაში არსებულმა მოვლენებმა, რაც თავისთავად აისახება ქვეყნის მთავარ უნივერსიტეტზე, გამოიწვია დაპირისპირება შიდა საუნივერსიტეტო სივრცეში. შედეგად მივიღეთ ის, რომ სხვადასხვა სტუდენტური გაერთიანებები ცდილობენ საკუთარი პოზიციების გამყარებას, რაც იწვევს გაუგებრობას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ზემოთ აღნიშნული პროცესი გვაიძულებს ჩვენ, როგორც საინიციატივო ჯგუფს, რომელიც ამ თემატიკით არის დაინტერესებული, დავიწყოთ პრობლემის ანალიზი.

კლუბში როდესაც ზემოაღნიშნული პრობლემა წამოვჭერთ, გაჩნდა შეკითხვა, თუ რამდენად ხედავდნენ იმავე პრობლემებს სხვა სტუდენტები. ამიტომ ჩვენი გუნდის წევრები ბოლო ერთი წლის განმავლობაში სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებთან ვმართავდით არაფორმალურ შეხვედრებს და განვიხილავდით არსებულ მდგომარეობას, რის შემდეგაც გამოიკვეთა, რომ კლუბის წუხილს საკმაოდ მასშტაბური სახე ჰქონდა. კონკრეტულად ხაზი გაესვა იმას, რომ დღეს არსებული სტრუქტურები და გაერთიანებები ვერ უზრუნველყოფენ საერთო ინტერესების გარშემო გაერთიანებას და არ არის მიმართული რეალური შედეგებისაკენ. ასეთი მდგომარეობა უფრო და უფრო ართულებს თანაბარ წვდომას იმ სერვისებზე, რომლებსაც გვთავაზობს უნივერსიტეტი.

ჩვენ ვცდილობთ ობიექტურად მივუდგეთ პრობლემას, გავითვალისწინოთ მსოფლიო უნივერსიტეტების გამოცდილება, გავაანალიზოთ ის და მოვარგოთ ქართულ რეალობას.

რა არის კლუბი (მოდელი) და რატომ ის.

კლუბი - ეს არის საერთო ინტერესის გარშემო სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალის გაერთიანება. ხედავ რომელიც ჩამოგვიყალიბდა საკლუბო მოდელთან დაკავშირებით არის უცხოური ორგანიზაციებისა და უნივერსიტეტების პრაქტიკიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, მაგალითისთვის განვიხილოთ შემდეგი უნივერსიტეტები: University of Hong Kong, University of Cambridge, University of Victoria, Queen's university of Canada, Catholic University of Leuven Belgium. თითოეული მათგანი ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს და გააჩნია საკუთარი კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს კლუბი. ყოველ მათგანში კლუბებს აქვთ ოფიციალური სტატუსი. ჩვენი მოდელი დაფუძნებულია მათ პრაქტიკაზე და მორგებული ქართულ რეალობას.

როდესაც კლუბი მოიპოვებს ოფიციალურ სტატუსს, უნდა მოხდეს კლუბების მაქსიმალური პოპულარიზაცია პრეზენტაციებით; შეიქმნება ონლაინ პლატფორმა(დანართი3), სადაც განთავსებული იქნება ყველა მონაცემი კლუბების საქმიანობის შესახებ, რითაც სტუდენტებს ექნებათ საშუალება წვდომა დაამყარონ ყველა იმ სიახლესა თუ ინფორმაციაზე, რაც უნივერსიტეტის არეალში ხორციელდება. ეს გამოიწვევს სტუდენტობის ინფორმირებას და კლუბების რაოდენობის ზრდას.

ჩვენი იდეის ინოვაციურობა გამოიხატება იმაში, რომ გვსურს დავნერგოთ კარგი მენეჯმენტი პროექტის შექმნა-განხორციელების დროს. მენეჯერები დააკვლიანებენ კლუბის

წევრებს, თუ როგორ უნდა გაკეთდეს სხვადასხვა სტილის პროექტი, რაც სასურველი მიზნის მიღწევის გარანტია(დანართი PM). ეს გამოიწვევს უნივერსიტეტში გრანტებისა და დაფინანსებების მოზიდვას. გრანტები მნიშვნელოვანი საკითხია და სამეცნიერო და სამოყვარულო კლუბები თავად შეძლებენ ამის მოპოვებას. ამის დასტური ისიც არის, რომ ევროკავშირი 2017 წელს განათლების წელიწადად აცხადებს. ზემოაღნიშნულის განხორციელება საბოლოოდ უნივერსიტეტში დაამკვიდრებს ღია მართვის სტილს. (დანართი 1)

დასკვნა : საკლუბო მოდელი არის მსოფლიოში აღიარებული პრაქტიკა, მისი განხორციელებისათვის კი საჭიროა იურიდიული აღიარება შიდა საუნივერსიტეტო გარემოში, რასაც ზემოაღნიშნული მაგალითები მოწმობენ. ასევე, რეკომენდირებულია შეიქმნას კომისია, რომელიც სტუდენტებთან ერთად იმსჯელებს კლუბების კონცეფციაზე და შიდა განაწესის სახეებზე. ერთადერთი საფრთხე, რაც შეიძლება კლუბების კონცეფციას შეექმნას, ეს არის ადმინისტრაციის მხრიდან კეთილი ნების არქონა, რაც დღეს წარმოუდგენლად მოჩანს.

რა სიკეთებს მოუტანს კლუბების არსებობა უნივერსიტეტს

- უნივერსიტეტის რეიტინგის ზრდა.
- სტუდენტთა აქტივობების ზრდა.
- სტუდენტური ცხოვრება მაქსიმალურად დაუახლოვდება ევროპულ სტილს.
- სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტთა კომუნიკაცია საერთო ინტერესებიდან გამომდინარე.
- სრული ინტეგრაცია საუნივერსიტეტო გარემოში.
- კონფერენციების ორგანიზება.
- კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციის გაზრდა.
- სამომავლო საქმიანობისთვის კონტაქტების არსებობა.
- უხოურ სტუდენტურ ორგანიზაციებთან კავშირი საკლუბო დონეზე(მაგ. სამეცნიერო, სკაუტური და ა.შ).
- გამოიკვეთება სტუდენტთა დიდი ნაწილის ინტერესები, რაც დაგვეხმარება მომავალი განვითარების ვექტორის დაგეგმვაში.
- კლუბის წევრების უნარების ზრდა.
- კლუბებს შორის ჯანსაღი კონკურენცია, რაც შედეგებისა და პიროვნული განვითარების საწინდარია.
- კარიერული წარმატებისთვის საფუძვლის ჩაყრა, რაც პორტფოლიოს გამდიდრებაშიც გამოიხატება.
- სტუდენტებში საპროტესტო განწყობების შემცირება.

გამოყენებული ლიტერატურა/წყაროები.


- [University of Cambridge](#) - University Societies
- [UL Wolves Best Club & Society of the Year Awards](#)
- University of Hong Kong – University Societies
- University of Victoria - Model
- Queen's University of Canada
- Catholic University of Leuven Belgium.
- The [Alma Mater Society](#) at [Queen's University](#) – Structure
- Registered Clubs and Societies – Cambridge
- [EESTEC](#) (Electrical Engineering Student's European Association)
- [AIESEC](#) (Worldwide Student Organisation)

ბმულები:

https://en.wikipedia.org/wiki/Student_society

<http://www.societies.cam.ac.uk/>

საკლუბო მუშაობის სქემა



*Club - საერთო ინტერესების გარშემო აკადემიური პერსონალის, სტუდენტის და კურსდამთავრებულის გაერთიანება.

პლათფორმა(დანართი 3)

Online-პლათფორმა უზრუნველყოფს ინტერაქციულ რეჟიმში კავშირს როგორც სტუდენტებთან ასევე აკადემიურ წრეებთან.ინოვაციური მიდგომა იქნება საქართველოში მობილური აპლიკაციის დანერგვა საუნივერსიტეტო გარემოში.მსოფლიოს მამუბათ საუკეთესო უნივერსიტეტები სარგებლობენ მობილური აპლიკაციის სისტემებით და მასზე წვდომა შეუღია ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს(Emory Mobile, NAU Mobile, Michigan , Harvard).აპლიკაციები უზრუნველყოფენ უწყვეტ კავშირს და ინფორმაციის გაცვლას სტუდენტებში , ლექტორებში და ეს არის საშუალება მუდმივი კავშირი გვექონდეს კურსდამთავრებულებთან. აპლიკაციის მომხმარებელს შეეღება ფაკულტეტის ინტერესის , სასწავლო სემესტრის და მიმართულების მიხედვით გაავრცელოს სასურველი ინფორმაცია. ასევე თუ გავითვალისწინებთ გამოცდილებას ჩვენ შეგვიღია ქართულ რეალობაზე მორგებული სისტემა დავნერგოთ,რომელიც ვავლენას იქონიებს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ორგანიზებაზე და სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. სტუდენტს და აკადემიურ პერსონალს შეეღება ონლინ რეჟიმში დაგეგმოს ცხრილი და თვალის ადევნოს მას. გამარტივდება საუნივერსიტეტო აქტივობებში ჩაბმა და სხვადასხვა კლუბებში განწვრიანება.

ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს საკლებო მოდელის დანერგვას საუნივერსიტეტო გარემოში და მოახდენს მის სტიმულირებას.



campusM - The College experience is changing.mp4

Project Management(PM)

პროექტის მენეჯმენტზე საუბრისას ვითვალისწინებთ GITA -ს გამოცდილებას, რომელიც სარგებლობს “მართვის აკადემიის“ სერვისით. მსგავსად ინოვაციების ცენტრისა უნივერსიტეტი ითანამშრომლებს გამოცდილ მენეჯერებთან, რომლებიც სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და თუნდაც ადმინისტრაციას დაეხმარებიან პროექტის გამართვაში. ამავე ორგანიზაციის წარმომადგენლები უნივერსიტეტში, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიმართულებას მისცემენ პროექტის მსვლელობას. ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა ფონდებთან გადამისამართება საჭიროებისამებრ, ბიუროკრატიული ნაბიჯების დაგეგმვა და სხვა. ისინი მეთვალყურეობას გაუწევენ პროექტის მსვლელობას და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარებიან კლუბის წარმომადგენლებს.